

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ხელფასების სტატისტიკის ზოგადი მეთოდოლოგია

მონაცემთა წყარო: ხელფასების სტატისტიკური გამოკვლევა საწარმოებსა და ორგანიზაციებში რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. 2006 წლიდან გამოკვლევა 2 დამოუკიდებელ გამოკვლევას ეყრდნობა:

- “საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა” – არაფინანსური კორპორაციების გამოკვლევა, რომელიც მოიცავს შრომის სტატისტიკის მოდულს
- “მონაცემები შრომის შესახებ” – არასამეწარმეო სფეროსა და ფინანსური დაწესებულებების გამოკვლევა

კითხვარები:

- საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური, წლიური)
- მონაცემები შრომის შესახებ (კვარტალური, წლიური)

საკვლევი ობიექტი: საწარმო, ორგანიზაცია

გამოკვლევის პერიოდულობა: კვარტალური, წლიური

შერჩევის ზომა და მოცვა

შერჩევის ჩარჩო: ბიზნეს რეგისტრი, რომლის განახლება ხდება უწყვეტად

შერჩევის ზომა: კვარტალური – 15000 სუბიექტი, წლიური - 18000 სუბიექტი

შერჩევის განახლება ხდება ყოველწლიურად

საწარმოების/ორგანიზაციების მოცვა: ყველა საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო/დაწესებულება

დარგობრივი მოცვა: მოიცავს ყველა ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულ საწარმოს და ორგანიზაციას, გარდა P (შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის) და Q (ექსტერიტორიული ორგანიზაციები) სექციებისა

არ მოიცავს: საცალოდ მოვაჭრე საწარმოებს ბაზრებსა და ბაზრობებზე

სრული მოცვით გამოკითხება:

- ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები (საჯარო სკოლების და ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების გარდა)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- ყველა მსხვილი სანარმო
- საფინანსო დაწესებულებები (სავალუტო ჯიხურების და ლომბარდების გარდა)

შერჩევით გამოიკითხება:

- საშუალო და მცირე სანარმოები
- საჯარო სკოლები და ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბალები
- არასახელმწიფო ა(ა)იპ-ები (არასახელმწიფო არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები)

შერჩევის დიზაინი: სტრატეგიცირებული შემთხვევითი შერჩევა

სანარმოები არის სტრატეგიცირებული:

- ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE rev.1.1 და NACE rev.2) მიხედვით
- სანარმოს ზომის მიხედვით (მსხვილი, საშუალო, მცირე)
- რეგიონების მიხედვით

სანარმოების დაყოფა ზომების მიხედვით

სანარმოს ზომა	2017 წლიდან		2017 წლამდე	
	დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა, კაცი	საშუალო წლიური ბრუნვა, (მლნ. ლარი)	დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა, კაცი	საშუალო წლიური ბრუნვა, (მლნ. ლარი)
მსხვილი	>249	>60	>100	>1.5
საშუალო	50-249	12-60	20-100	0.5-1.5
მცირე	<50	<12	<20	<0.5

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მეთოდოლოგია: ხელფასების გამოკვლევა ტარდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მეთოდოლოგიის მიხედვით

დასაქმებულთა მოცვა:

- საწარმოში/ორგანიზაციაში სრული და არასრული სამუშაო დროით დასაქმებული პირები, რომელთა შრომითი ურთიერთობა რეგულირდება საწარმოსთან/ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით (კონტრაქტით)

შრომის ანაზღაურება (დარიცხული ხელფასის ფონდი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით):

- ძირითადი ხელფასი გაცემული ნამუშევარი დროის ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით
- დანამატი, პრემია და სხვა წამახალისებელი სახის გასაცემლები
- საკომპენსაციო და სხვა გასაცემლები, რომელიც დაერიცხა დასაქმებულ პერსონალს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნამუშევარი და არანამუშევარი დროისათვის (შვებულება, მოცდენები)
- ნატურით გაცემული ხელფასის ღირებულება

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი

გავრცელების დრო:

- კვარტალური – საანგარიშო პერიოდიდან 77-ე დღე
- წლიური – ოქტომბრის პირველი ნახევარი

მონაცემთა გავრცელება:

- ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (კვარტალური, წლიური)
- სქესობრივ ჭრილში (კვარტალური, წლიური)
- სამეწარმეო (ბიზნესი სექტორი) და არასამეწარმეო სფეროს მიხედვით (კვარტალური, წლიური)
- სექტორების (სახელმწიფო, არასახელმწიფო) მიხედვით (წლიური)
- რეგიონების მიხედვით

გაანგარიშების მეთოდი

- **დაქირავებულთა საშუალო რიცხოვნობა:** არასრული სამუშაო დღით ან არასრული სამუშაო კვირით დასაქმებულები, დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობაში ირთვება მათ მიერ ნამუშევარი დროის პროპორციულად

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- **საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი:** საანგარიშო პერიოდის (კვარტალი, წელი) განმავლობაში დარიცხული შრომის ანაზღაურების/ხელფასის ფონდი (ძირითადი ხელფასი, პრემია, დანამატი და სხვა წამახალისებელი სახის გასაცემები, საკომპენსაციო გასაცემები და სხვა, რომელიც დაერიცხა დასაქმებულ პერსონალს ან გაიცა ნატურის სახით და ღირებულება ჩართულია შრომის ანაზღაურებაში) იყოფა დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობაზე და შესაბამისად 3-ზე (კვარტალური) ან 12-ზე (წლიური)

კლასიფიკაციები

- ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი სევ 001-2004, შეესაბამება ევროპულ კლასიფიკატორს NACE rev.1.1
- ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი სევ 006-2016, შეესაბამება ევროპულ კლასიფიკატორს NACE rev.2